მუშის განთავისუფლება
თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს
ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მ უ შ ა

| | 1 წ. | 6 თ. | | 3 თ. | | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მ. | მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. |
| თბილისში. | 5 | 2 | 50 | 1 | 25 | — | 50 |
| თბილ. გარ. | 6 | 3 | — | 2 | 50 | — | 60 |
| საზღ. გარ. | 10 | 5 | — | 3 | — | 1 | — |

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1) მუნჯი „ლამპრის“ და მთავრობის კრიტიკა. 2) ფელეტონი: მოკლე სისტემა ანარქიზმისა, (გაგრძელება), 3) სამართლიანია თუ არა ჭიათურის მუშის კირილე გუბელის ღია წერილი ჩემ მიმართ? 4) ახალი ამბები. 5) რუსეთის ქრონიკა. 6) უცხოეთი. 7) დეპეშები.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს.—2 ს.; საღამოს 5 ს.—7 საათ.

ა დ რ ე ს ი: თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქ., № 117.

№ 15 ხუთშაბათი 22 ივნისი 1906 წ. თბილისი № 15

**ვთხოვთ ჩვენ აგენტებს პროვინციებში ფულები ყოველ შაბათობით გვიგზავნონ თუ სურთ, რომ შემდეგისთვისაც მიიღონ გაზეთი**

## მუნჯი „ლამპრის“ და მთავრობის კრიტიკა

გაკვირვებული მკითხველი და გაოცებული მუშა იკითხავს: „როგორ შეიძლება მუნჯთა კრიტიკა არსებობდესო“; მაგრამ ვისაც მუნჯური კრიტიკა არ სწამს და უკვირს, იმას მაშინ უვიცთა მეცნიერებაც უნდა უკვირდეს; მისი გაკვირვება ამ გვარ მეცნიერების თაობაზე უადგილო იქნება, რადგან „ლამპარში“ ბატონმა ლეომ უვიცობის კათედრა იკისრა. ეს სულელობა, ე. ი. კათედრა არ ახალია შველია—გიორგი ვალენტინიჩ პლეხანოვისებურია. ვისაც კრიტიკაში მუნჯური მეთოდი უადგილოდ მიაჩნია, იმას უნდა მიაჩნდეს, რომ არავითარ, მეტად თუ ნაკლებად ლიბერალურ, ცოტათი პროგრესსიულ პარტიაში და მით უმეტეს ვითომ სოციალისტურ სოც.-დემოკრატიულ პარტიაში, ადგილი არ უნდა ჰქონდეს არც პროვოკაციას, არ ჯაშუშობას და არც თავისუფლების სიძულვილს, არც „ეშმაკებს“ და არც ,,თაგუნებს'' და არც სხვა ჯიშის ვირთხებს. მაგრამ გაკვირვება ამ შემ თხვევაშიც მეტი იქნება, რადგან „ეშმაკები“, ჯაშუშები, ,,თაგუნები და სხვა ბნელეთის მყრალი და უმსგავსო ცხოველები არსებობენ; როდესაც ქვეყანა ჯოჯოხეთად გადაიქცევა მაშინ გაჩნდება ცეცხლის ალი გარუჯავს „თაგვებს“ და დაღალავს „ეშმაკებს“ წაუშლელი დაღით: გამცემელი, მოღალატე, ქუჩის საზანდარი, პიროვნების შეურაცხმყოფელი, რომელიც ამით საზოგადო მოღვაწეთ თვლის თავის თავს.

ვისაც კრიტიკაში მონჯური მეთოდი უკვირს, იმას უნდა უკვირდეს 90 უნტერ აფიცრის ცოლების პროტესტი, იმ ოთხმოცდაათის, რომლებიც ბათუმის სახელოსნოს, უკაცრავად არ ვიყო, მუშებს უწოდებენ თავის თავს, რომლებიც ჩვენი აზრით ან მუშები არ არიან და ან მოტყუებული ბრძანდებიან ერთ რომელიმე სოც.-დემოკრატიის პარტიაში მყოფ აქტიურ წევრისგან *).

ეხლა ვიკითხოთ რაში შესდგება მუნჯური მეთოდით კრიტიკა ან რა ჯურის ხალხი ხმარობს ამ მეთოდს?

მუნჯური მეთოდი კრიტიკაში შესდგება: ცილის წამებისაგან, ისეთი ზედსართავების და სახელების წოდებისაგან თავის მოპირდაპირის დასახასიათებლად, რომელიც არ არიან დამტკიცებულნი და არც შეიძლება დამტკიცდეს, ე. ი. ლანძღვაგინებისაგან, ცრუ აზრების გავრცელებისაგან თავის მოპირდაპირეებზე, ანონიმური, უსახელო წერილების გზავნისაგან, „დანოსისაგან'', ჟურნალ-გაზეთების დახევის და აკრძალვისაგან, პროტესტისაგან.

ჰოი, საკვირველებავ!

მომაკდავ თვითმპყრობელობას ის, ეჯავრებოდა კრიტიკა, როგორც ვირს პიტნა, და ცოცხალ ადამიანს სიკვდილი—სოც.-დმმოკრატიას ამ ბურჟუაზიულ პარტიას იმოდენათ ეჯავრება თავის შესახები კრიტიკა, რამოდენადაც უყვარს სხვისი შესახები კრიტიკა, როგორც ღამურას დღის სინათლე.

მთავრობას სძაგს და ეზიზღება სხვისი საზიზღრობა და სისაძაგლე უყვარს თავისი—სოც.-დემოკრატიას ბნედას ჰგვრის მის მიმართ მიმართული კრიტიკა და უყვარს ფანატიკურად სხვის წინააღმდეგ კრიტიკა.

მთავრობას „კანონი“ აქვს ცილის წამების წინააღმდეგ, როდესაც მას სწამობენ ცილს და ყურს არ იბერტყავს, როდესაც მისი წევრები ცილს სწამებენ სხვას—სოც.-დემოკრატია ცილის წამებათ სთვლის მის წინააღმდეგ დასაბუთებულ აზრს და სიამოვნებით ეწევა ცილის წამებას სხვის შესახებ.

მთავრობა თავისუფლებისთვის ბრძოლას, უზნეობას ეძახის და თავისუფლებისათვის მებრძოლთ უზნეო ყაჩაღებს—სოც.-დემოკრატია თავისუფალ სოციალიზმის თავისუფალ მებრძოლთ ყაჩაღებს (იხილე პლეხანოვის ბროშიურა: Анархизмъ и соціализмъ)., ზნე დაცემულებს უძახის და ანარქისტ მუშებს ლუმპენპროლეტარიატს, ხულიგანებს (?) უძახის. მთავრობა პირდაპირ, ცხადად ჯაშუშობს და პროვოკატორობს—სოც.-დემოკრატია კი პროვოკატორობს, ჯაშუშობს მალულად და იძახის სოციალისტი ვარო (მახლას, სოციალიზმი!).

მთავრობა თეთრ ტერორს პირდაპირ ეწევა და იძახის ჯალათი ვარო ს.-დემოკრატია კი მალულად ტერორისტობს და თეორიაში, ცხადათ უარს ჰყოფს ტერორს.

მთავრობა ხულიგანებს აქეზებს იდუმალად შავი რაზმების შედგენაში—სოც.-დემოკრატია კი ფარულად აწყობს შავრაზმს ნამდვილ სოციალისტების წინააღმდეგ და მთავრობას კი პარლამენტით, ენით, იდეიურად ებრძვის.

მთავრობა აზროვნებას ალრჩობს —სოც.-დემოკრატია კიდევ უფრო მეტათ.

მთავრობა ჟურნალ-გაზეთობას სდევნის—სოც.-დემოკრატია მთავრობაზე უარესად.

მთავრობა ჟურნალ-გაზეთობას ხევდა და დამტარებლებს სცემდა—ს.-დემოკრატიამ ეხლა დაიწყო ჟურნალ-გაზეთების დევნა და დამტარებლების ცემა-ტყება (ნუ თუ ამის შემდეგ დაეჯერება სოც.-დემოკრატიას, რომ მათ მიერ დამყარებულ სახელმწიფოში თავისუფლება იქმნება).

მთავრობა, ვინაიდგან მთავრობა განხორციელებული პროტესტია თავისუფალი აზრის, მოქმედების, წერის, სიტყვის წინააღმდეგ—სოციალ-დემოკრატია მთავრობის პირმშო შვილია თავის პროტესტანტულ მოღვაწეობით, შვილი, რომელიც დიდ იმედებს იძლევა თავისუფლების ძირიანად აღმოფხვრის მოღვაწეობაში.

მთავრობა გაზეთებს აღკრძალავს და არა გაზეთების სახელს ან ლოზუნგებს — სოც.-დემოკრატია მხოლოდ გაზეთს კი არ კრძალავს, არამედ ერთსაც, მეორესაც და მესამესაც

მთავრობა ან ავად ან კარგად განიკითხავდა ბრალდებულს და შემდეგ სჯის. — სოციალ-დემოკრატია ისე სჯის, რომ არც ავად და არც კარგად არ განიკითხავს ბრალდებულს.

ალი

*) ამ ვაჟბატონს, როგორც ჩანს იუსუფ-ჯანდაბელის წკიპურტი ისე მძლავრად მოხვედნია ქუთაისში, ურიების უბანში, რომ მთლად გაბრუებულა და შეშინებული ძაღლივით ერთი წლის შემდეგ, როდესაც ის არის ბათუმში და ჯანდაბელი ხარტუმში მაშინ დაუწყია ყეფა. ყეფს რომ: „გაბრთხილებთ ანარქისტებო, ნუ ტრაბახობთ ენა-წყლიან გოგელიას (?) პირით და წინადადებას გაძლევთ, რომ ჩადგეთ საზოგადოებრივ ზნეობის კალაპოტში, თორემ არც იმდენს გაცდით, დუელი ჩვენც ვიცით, როგორიც უნდა!“

თქვენ მართლა რომ ვიღაც საზოგადო ზნეობის კალაპოტის კაცუნა, უნდა მოგახსენოთ, რომ უკანიდგან მოპარვისას დაბეჯითებით ვერაფერს მოგახსენებთ, ეს შემპარავი ძაღლის ხელობაა, თუმცა-და შეხვდება, რომ ქუსლი ძაღლს კბილებში ხვდება და რაც შეეხება პირდაპირობას ბრძოლაში ჯანდაბელი მზად არის, დაიწყეთ სადგისით და რითაც გინდათ იმით გაგითავებს. თქვენ „ლამპრის“ № 34 ბათუმიდგან გამოგზავნილ პროტესტით (იხ. ბოლო) ნამდვილი, ფაქტიური ჯაშუში ბრძანდებით, თქვენ ბადლინჯო ბრძანდებით, რევოლიუციონურ ბრძოლის ზურგზე მოთავსებული, ამიტომ ჯაშუშთან დუელი ჩვენ, რევოლიუციონერებს და სოციალისტებს დამცირებათ მიგვაჩნია. თქვენ გეცოდინებათ ჯაშუშს როგორ ექცევიან.

## სამართლიანია თუ არა, ჭიათურის მუშის კირილე გუბელის ღია წერილი ჩემ მიმართ?

(იხ. «ლამპარი» № 44.)

ამხანაგო მუშავ კირილე გუბელოვ! ერთნაირად სამართლიანია თქვენ მიერ მომართული ღია წერილი ჩემზედ, რომელშიდაც ამბობთ ვითომ მთელი ჭიათურის მუშების მონდობილობით, რომ ჩვენ მუშებმა დიდი ხანია ავიხილეთ თვალები და გევიგეთ ვინ არის ჩვენი მტერი და ვინ მოყვარეო; ამაზედ მეც გეთანხმებით ამხანაგო, და როდის მითხარით ვერ გაგვიგია ვინ არის ჩვენი მტერი და ვინ მოყვარე-თქო?! მაგრამ ამას მაშინაც ვამბობდი და ეხლაც გეუბნები, ანარქისტები არა თუ მტერია ჩვენი არამედ ჩვენთვის, მუშებისთვის თავიანთ თავს სხვერპლად სწირავენ დ თავგამოდებით იბრძვიან ნამდვილ სრულ თავისუფლობისთვის. რაც შეეხება სოც.-დემოკრატებს, მე ისინი მტრებად არც

მიწოდებია და არც უწოდებ არასოდეს, მაგრამ დარწმუნებული იყავით ამხანაგებო, რომ უმჯობესის უმჯობესი და უგლახესის უგლახესი არც გამოლეულა და არც გამოილევა. ჩვენ ის არ შეგვიძლია ჯერ ჯერობით, ვსთქვათ რომ, ჩვენ უკვე იმნაირად გვაქვს შეგნებული სოციალ-დემოკრატების და ანარქისტ-კომუნისტების აზრები რომ, შეგვეძლოს იმათი გარჩევა, რომელი უმფრო მუშების ინტერესების გამომხატველია. ის არ იფიქროთ რომ, მე ცარგად გამორკვეული მქონდეს და მით მთელ მუშებს სოც.-დემოკრატების თანამგრძნობებს ვჯობნიდე გამორკვევაშიდ, არა ეს სიცრუე იქნება და მასთან დაცინვაც ჩემზედ, რაზედაც თქვენც დიდი სიხარულით დამეთანხმებით, მაგრამ ნუ დაგავიწყდებად რომ, ჯერ-ჯერობით შეუძლებელია იმის გადაწყვეტა რომ, ანარქისტებს ხალხის გამათახსირებელი და დამღუპველი უწოდოთ, როგორც ამას ამბობს ბ-ნი მუშა კირილე გუბელი. ამის თქმას მე არ მოველი ცოტად თუ ბევრად შეგნებულ მუშებიდგან. რაც შეეხება კიდევ იმას რომ, ჩვენ ვიძახოთ: გვრწამს და გვრწამს ერთად ერთი სო.-დემოკრატია, როგორც ნანდვილი ჭეშმარიტი მუშების ინტერესების გამომხატველიო, მე ამ ნაირ დაჟინებული ძახილით შეუძლებლად მიმაჩნია მართლა ვიწამო ესა თუ ის პარტია. ჩვენ შეიძლება ბევრი რამ გვრწამდეს მაგრამ, იმას ნუღარ გამოვარკვევთ არის საწამებელი თუ არა?! ამ კითხვაზედ შეგნებული პასუხი ამნაირი იქნება და კირილეს პასუხი შემდეგია ჩვენ გამორკვეული გვაქვს და ვიცით კიდევაც ყველაფერიო. ამნაირ პასუხებს არ შეუძლია გამორკვევა ამისი, არამედ, ამის გამოსარკვევად სხვა მასალები გვჭირდება.

აგრეთვე კიდევ დაგიჟინებიათ და გაიძახით: სახელი გამოუცვალეთ გაზეთს „მუშასო“ და შესაფერი სახელი მოუნახეთო. (მუშების საწინააღმდეგო რომ რამე ეწეროს შიდ, და ბურჟუების სასარგებლო მაშინ თამამად შეგვიძლია უთხრათ „მუშის“ მაგივრად გაზეთს სახელად დაარქვას „ბურჟუა“ მაგრამ წარმოიდგინეთ თქვენ მუშების საწინააღმდეგოს არასფრეს სწერენ და ბურჟუებს დედამიწას უთხრიან, ამისთვინ მოგდით გული მუშებო???) დაჟინებით ძახილი „გაზ. „მუშას“ სახელი გამოუცვალეთო“, რაღაც სხვა შეხედულებისაა, ეს რაღაც უბედურებაა ჩვენ მუშების თავზედ, რადგან დღევანდელ მთავრობას წინ ვასწრებთ უსამართლობით და ანარქისტების განდევნას ვემზადებით. ჩვენი დღევანდელი პროტესტი და ზიზღი არ იყო საჭირო ანარქისტების წინააღმდეგ; ჯერ მთავრობას არა აქვს დრო ანარქისტებისთვინ სადევნელად რადგან სათათბიროშიდ რაღაც მოლაპარაკება აქვსთ ისევ ჩვენ მიერ გაგზავნილ წარმომადგენელებთან. (თუმცაღა ჩვენი, მუშების ამორჩეულები არ არიან, მაგრამ, სულ ერთია ვინც ამოირჩია ჩვენი სახელით ხომ მაინც ლაპარაკობენ) და? სოც.- დემოკრ. ნუ კისრულობს მთავრობის მაგიერობას. ამისათვინ ჩემი მხრიდგან ურჩევ ყველა ამხანაგებს, თუ კი მართლა არ გადამცდარხართ გზას, ემზადონ დღევანდელ (სულ ერთია დღევანდელი იქნება თუ მომავალი, მთავრობა და კანონი. მთავრობის დ ბურჟუა-კაპიტალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად და არა ანარქისტ-კომუნისტების წინააღმდეგ. ადრე იქნება თუ გვიან, შეიძლება მთავრობასთან უკანასკნელი ბრძოლა დაგვირჩეს და ამისათვინ მომზადებაა საჭირო და ანარ.-კომმ. ერთად ტეხნიკური მხრით შეერთებული ბრძოლა. ამის მაგივრად ჩვენ გამოვსულვართ და ვემზადებით ანარქისტების წინააღმდეგ საბრძოლველად, ზოგიერთ ვაჟბატონების შემწეობით, და რაღაც ზიზღებზედ და პროტესტებზედ გავიძახით. ჩვენი, მუშების ნამდვილი მოვალეობაა, დავიცვათ მთავრობის ბრჭყალებიდგან თავგამოდებულნი მებრძოლნი თავისუფლებისთვინო, როგორც ანარქისტები ისე სხვა თავისუფლებისათვის მებრძოლნი დავეკითხოთ ჩვენს თავს რას ვშვრებით? ცოტა,
იოტის ოდენა მაინც დავუ
ამაზედ. დღეს ჩვენი მოქმედებ
გამოდის რომ, ჩვენი თავის
ინტერესების წინააღმდეგ მივდი
ჩვენს თავს ვღალატობთ. ჩვენ
თითქმის მთავრობას უწყობთ
იმითი, რომ გვსურს გავდევნოთ
დგან წინანდელი თავგამოდებუ
მებრძოლნი თავისუფლებისათვი
კიდევაც გაუხარდება დღევან
მთავრობას, ანარქისტებს თუ
მოვაშორებთ. მაგრამ ნუ
გავიწყდებათ და გახსოვდეთ
კიდევ განვიმეორებ, ეს
თავის ღალატი იქნება და
ჩვენი მტრების. მაშ დრო
დოთ დღევანდელ გამხრწნელ
როკრატის და დღევანდელ
ახსნილ ბურჟუა-კაპიტალის
წინააღმდეგ ბრძოლას და არა
ვისუფლების თავგანწირულ
ძოლთ ანარქისტების წინააღ
ნუ ვაჭრელებთ გაზეთებს და
ვიქცევთ თავს ზიზღის და პროტ
ბის წერაშიდ ანარქისტების წ
აღმდეგ. ზიზღი და პროტ
დღეს მთავრობას და ბურჟუა-
ტალისტებს და **არა** ნამდვილ თ
**ვისუფლებისათვის მებრძოლ
ანარქისტებს.**

მუშა ჰრ. გუჯაბაი

# ფელეტონი

**მოკლე სისტემა ანარქიზმისა**

(ე. მალატესტისა)

თარგმანი.

(გაგრძელება) *)

**საუბარი მესამე**

ცეზარ. თქვენ აგვიხსენით დღეს თუ როგორ შეიძლება ცხოვრება უმთავრობოთ.

გეორგ. ვეცდები რაც შემიძლია, მხოლოდ უპირველესს ყოვლისა, გავსინჯოთ თუ ამ წეს-წყობილებაში ცუდია ცხოვრება და რომ აუცილებელი საჭიროებაა ამ წეს-წყობილების შეცვლა.

ეხლანდელ წეს-წყობილებაში, პირველ შეხედვისთანავე თვალებში მოხვდება გულის შემზარავი მასის გაღარიბება, მოულოდნელი მომავალი გაჭირვება და ბრძოლა ყველასი ყველას წინააღმდეგ ლუკმა პურისათვინ.

ამბრუაზ. პირველათ ის არ უნდა დაივიწყოთ რომ მართო სიღარიბე არ სჩაგრავს კაცობრიობას, არამედ არიან კიდევ სხვა: შავი ჭირი, ხოლერა, მიწის-ძვრა და სხვ... აი სწორეთ ბოროტება თვით ბუნების მოვლენაშია და ამავე დროს რევოლიუციაზე ქადაგობა უნიადაგოა.

გეორგ. სწორედ მე მინდა მეჩვენებინა თქვენთვის რომ სიღარიბე დამოკიდებულია არსებულ სოციალურ ორგანიზაციის ფორმისაგან. სანამ არ იცი ავადმყოფობის მიზეზი არც შეიძლება მისი წამლობა და როდესაც გაიგებს თუ რა ნაირი სენია წამალსაც იპოვი, და მაშინ ყველა ვალდებულია იცოდეს, რომ ამ გვარ სენს ამგვარი წამალი უშველის.

ამბრუაზ. სწორეთ მაგაშია თქვენი შეცდომა: სიღარიბე დამოკიდებულია ადამიანზე მაღლა მდგომ ნების და კანონების მიზეზებისაგან. ის დამოკიდებულია თვით ბუნების ნაკლებობისაგან, რომლის ნაყოფი არ ჰყოფნისთ მთელ ხალხს. აბა შეხედეთ ცხოველებს, რომლებშიაც არ არსებობს ბილწი კაპიტალი და დესპოტიურა მთავრობა, როგორ განუწყვეტლად იბრძვიან არსებობისათვის და კიდეც ხშირად კვდებიან სიმშილისაგან. ხალხი გამრავლდა დედამიწაზე, რომლის დამტკიცება არ არის საჭირო. თვით ღარიბებმა უნდა შეიმაგრონ თავი და არ გაამრავლონ ჩამომავლობა ზედმეტი, როლთა გამოკვება არ შეიძლება დ თვით ბუნების მასალა არ ეყოფათ. წაგიკითხავთ თქვენ მალტუსი?

გეორგ. წამიკითხავს. თუმცა ბევრს არაფერს დავკარგავდი რომ არ წამეკითხა. მე სულ უწიგნოთაც ვიცი რომ ვინც ამტკიცებს, სიღარიბის მიზეზი თვით ბუნების ნაკლებობაა, ის დიდი თავხედი უნდა იყოს უკაცრავად ამის თქმისთვის. თქვენ იცით რომ მრავალი მიწებია დაუმუშავებელი...

ამბრუაზ. შეუძლებელია მათი დამუშავება, რახან არ ვარგა და სამუშავებლათ, ნაყოფს არ მოიტანს და ხარჯსაც არ დაჰფარავს.

გეორგ. ნუ თუ სერიოზულათ ლაპარაკობთ? მაშ აჩუქეთ ის უვარგისი მიწები გლეხებს, და შეხედეთ როგორი ბაღები გააშენონ. როგორ მუშავდებოდნენ მაშ უწინდელს დროში ეს მიწები, როდესაც სამეურნეო-ტეხნოლოგიის ხსენებაც და მიწის მეურნეობა ჩასახულიც არ იყო? ნუ თუ თქვენ არ იცით რომ მაღალ-კლდოვანი ადგილებიც შეიძლება აქციონ ნაყოფიერათ? ნუ თუ თქვენ არ გაგიგონიათ, რომ აგრონომები იკვლევენ რომ ისეთი ტერრიტორია როგორიც იტალიაა რომ კარგად დამუშავდეს, დააკმაყოფილებს 100 მილ. მეტს მცხოვრებთ? მხოლოდ მიზეზი მიწების დაუმუშავებლობაა, და რომლებიც მუშავდებიან არ იძლევა იმტენს, რამდენიც გაუმჯობესებულ დასამუშავებელ საშვალებით შეიძლება მოგვცეს. ეს იქიდანა სჩანს რომ მფლობელთა ინტერესები წარმოების გაფართოე
ბაში არ არის, და არც აქვთ
მათ, ხალხის კეთილ-დღეობა
მათ კარგათ ესმით რომ რაც
ნაყოფია დამზადებული, მით
ლებია ფასი, და ნაკლებს მოს
ხედავს. ამისათვის აწარმოებენ
ლოდ იმდენს რამდენიც სავაჭ
ეყოფათ. როდესაც ნაყოფის
დენობა არ არის საკმარისი,
ჰყიდიან იმ ფასათ, როგორც
ჰსურთ, ან როგორსაც დაადგენ

კაცობრიობის მოღვაწეობის
ველ დარგში ჩვენ ვხედავთ ერთ
იმავეს. ყველა ქალაქებში ღარიბ
სულს ლევენ ცივ-ნესტიან ქოხ
და ისეთ უკანასკნელ აუტანელ
რობებში იმყოფებიან, რომ შე
ლებელია ადამიანურად ცხოვრ
რატომ? სახლების უქონლობით?
რატომ არ აშენებენ სალს და
გის კარგ სახლებს, იმდენს რამ
ნიც ეყოფათ მათ? ყოველივე მასა
—ქვა, აგური, სილა, რკინა,
ყოველივე ესენი სავსეა, არიან
დევ: კალატოზები, დურგლები,
ხიტექტორები, რომლებიც მხოლ
იმას ფიქრობენ როგორმე სამუშ
იშოვონ. რატომ ამდენი ძალა უ
ქმოთ რჩება, ძალები რომლებს
შეუძლიან საზოგადოებას სარგ
ლობა მოუტანონ? მიზეზი უბრ
ლოა: ბევრი სახლები რომ იყ
ოთახების მოთხოვნილება დაეცემ
და. არსებულ შენობათა მფლობ
ნი და კიდევ ისინი რომლებსაც

*) იხ. გაზ. „მუშა“, № 12.

# ახალი ამბავი

—

თბილისის გუბერნატორი წინადადებას აძლევს ქალაქის გამგეობას, რომ მან შეიტანოს ხაზინაში 1000 მან. საგუბერნიო საგლეხო საკრებულოს ხარჯისათვის.

— განჯის ქალაქის გამგეობა სთხოვს თბილისის ქალაქის გამგეობას, აცნობოს მას ის მოტივები, რომლითაც თბილისის გამგეობამ მიმართა მთავრობას სახელმწიფო ბანკიდან სესხის ასაღებად.

— 22 ივნისს დანიშნულია მორიგი კრება ქალაქის გამგეობის შენობაში იმ კომისიისა, რომელმაც უნდა მოაწყოს თბილისში ბანეოლოგიური სადგური.

— ლონდონში ხელს აწერინებენ რუსეთის მთავრობისადმი პროტესტზე საქართველოს აოხრების გამოისობით. ინგლისის ქალები გზავნიან თბილის-ში განსაკუთრებულ კომისიას, რომელსაც დაევალება დანამდვილებით ნამდვილ საქმის გამოკვლევა და დაზარალებულ ქართველთ დახმარების აღმოჩენა.

— დღეს 22 ივნისს დანიშნულია სამხედრო სასამართლოში საქმე 27 სალდათისა. ამათ აპრილში მომხდარი. არეულობაში მონაწილეობა ბრალდებათ. სასამართლოს თავმჯდომარეობს გენერალი შერბოვიჩ-ვეჩორი ბრალდებულთ დაიცავენ კაპიტანნი ვეზირიშვილი და უხინოვსკი. ბრალმდებელათ იქნება სამხედრო სასამართლოს ბრალმდებელი ვოსტრო საბლინი.

ბრალდებულთაგან ეფრეიტორ თედორე სპორნისა, სალდათებს ალექსი ნიკიფოროვს, ნიკოლოზ სოკოვს, ტიგრან ოკოევს და ანდრია ბრეზუცკის ბრალსა სდებენ, იმაში რომ 26 მარტს მომხდარს არეულობაში მონაწილეობის მიმღები სალდათების ყუთების გაჩხრეკის ნება არ მისცეს აფიცერის ბოგომოლოვის ბრძანებით მე-13 როტით მოსულს ფელთებელს გაბრიელოვს. ბრალდებულს სალდათბეს და სხვა აღმოუჩენელთ სალდათებს უთქვამთ ფელდებელის გაბრიელოვისათვის, რომ დაპატიმრებულის ამხანაგების ნივთების გაჩხრეკა ჩვენ შეურაცხყოფათ მიგვაჩნიაო და ნებას არ მოგცემთო. კაპიტანს ბოგომოლოვს და გაბრიელოვს შეშინებიათ საქმის სხვაფრივ დატრიალების და თავი გაუნებებიათ თავის მოთხოვნილებისათვის. ზემოხსენებულს ჯარის კაცებს მე-110 სამხედრო სამართლის ძალით ედებათ ბრალი. ეფრეიტორს თ. სპორნის, ნიკიფოროვს, სოკოვს, ოვოევს, ბერეზუცკის, უნტერ-აფიცერ სიმონ ძალაევს, ჯარის კაცს გრიგორ ფედოტოვს, მე-15 როტის უნტერ-აფიცერს ივანე კატუნოვს, ეფრეიტორ ანდრია მედვედევს, აკიმ ფოლკს, იზრაილ ენდერს, ალექსანდრე ბოიკოს, ვასილ გურტოვს, მე-12 როტის უნტერ-აფიცერს ნიკოლოზ რეხცოვს, საველი პერევერზინს, ივანე პარშინს, ანისიმ ივანჩენკოს, ევგენი ანიკინს, სტანისლავ კრეესიკოვსკის მე-9 როტის ჯარის კაცს ივანე კობაიძეს, მე-10 როტის გუბენ-მანუკოვს, მე-4 როტის აბრამ ანბატგინს მე 3 როტის ნიკოლოზ მაჭავარიანს, მე-16 როტის ტიმოთე გრიგორევს და მუსიკის მოსწავლე კონსტანტინე ბოგაევს, ამ ჯარისკაცებს ისა ბრალდებათ, რომ როცა ამათ შეიტყვეს ამხანაგების დატყვევება მოუწოდეს მინგრელსკის პოლკს ჯარისკაცებს და დაიწყეს თათბირი, თუ როგორ იხსნან დაპატიმრებული ამხანაგები. ამ დროს მოსულს აფიცერის ბოგომილოვისათვის, როცა მას დაბლა უბრძანებია შეკრებილს ჯარისკაცებს შეიარაღებით უპასუხნიათ და ასეთივე ქცევისათვის მოუწოდებიათ სხვა ჯარისკაცებისთვისაც, რომ იარაღით ხელში გაენთავისუფლებიათ შეპყრობილი ამხანაგები.

ფელთვებელი გაბრიელოვი და აფიცერი ბოგომილოვი ვერას გამხდარან აჯანყებულები ერთხმათ თხოულობდენ ამხანსგების განთავისუფლებას.

პოლკებიდან ყველა აჯანყებულ სალდათებს შეერთებია გარდა მე 14 როტისა. მე 14 როტისათვისაც მოუთხოვიათ ამხანაგებს შემოერთება, მაგრამ მათ ფელთვებელის ბრძანებით ტყვიით უპასუხნიათ. ასეთივე პასუხი გაუციათ ეზოში მდგომს სალდათებს. სალდათებს სმოლენსკის, და მინაევს ბრალდებათ აგიტაციის გაწევა მინგრელსკი პოლკში, ზემოხსენებული მიზნისათვის მიეღწიათ სალდათებს. სასამართლო არჩევს საქმეს გარეშე პირების დაუსწრებლათ. გამოწვეულია ბრალმდებელთა მხრივ 49 მოწმე, და 30 კი ბრადებულების მხრივ.

— ჭიათურაში მუშების გაფიცვა გრძელდება. საზღვარ გარეთიდგან დეპეშა მიიღეს აქაურ ქვის მწარმოებლებმა, რომელშიდაც დეპეშის სიტყვით ნახევარ კაპეიკს უმატებენ ფუთ ქვაზედ, მაგრამ ეს ½ კ. არ უკმაყოფილებს მუშების მოთხოვნილებებს.

— ჭიათურაში სოციალ-დემოკრატების რეპრესიების გამო ანარქისტული გაზეთი ,,მუშას'' ბევრი ყიდულობს და წაუკითხავად ხევს.

— ჭიათურაში კვირას 18 ივნისს შუადღის 2 საათზედ ერთმა მუშამ დანით დასჭრა ერთი კაზაკი, რომელიც დამთვრალიყო და მშვიდობიან ხალხს ქვები დაუშინა. დაჭრილი კაზაკი საავადმყოფოში წაიყვანეს. დამჭრელი მიიმალა.

---

უძლიანთ სახლები ააშენონ, არავითარი სურვილი არა აქვთ, ღარიბთა სარგებლობისთვინ, თვითონ ნაკლები სარგებლობა ნახონ.

ცეზარ. თქვენ ლაპარაკში რაოდენიმე სიმართლეა, მხოლოდ არა სისწორით ხსნით იმ სამწუხარო მოვლენებს, რომელიც ავიწროებს ჩვენ მხარეს. მიწების დაუმუშავებლობა, საქმეთა შეჩერება, საყოველთაო გაღარიბება! მიზეზი ყველა ამათი— ჩვენი ბურჟუაზიის მოუნდომლობაა; კაპიტალისტები მშიშრები და უმეცრები არიან, ან არ უნდათ, ან არ იციან მრეწველობის განვითარება. მემამულეებს თავისი საქმეები ისე მიჰყავთ, როგორც ოდესმე მათ მამა პაპათ, ისინი ყოველ გაუმჯობესობას უფრთხიან. ვაჭრებს ღალატობს უნარი გააფართოვონ წარმოება და საქონელს ბაზარი მოუპოვონ. მთავრობა კი თავის იდიოტურ საბაჟო წესებით და პოლიტიკით ყოველ ღონის-ძიებას ხმარობს რომ რაიმე ნაირათ შეავიწროვოს და მოუკლას კერძო პირებს სურვილი თვითმოქმედებისა. ავიღოთ მაგ. საფრანგეთი, ინგლისი ამერიკა...

გეორგ. ჩვენი ბურჟუაზია ბრიყვი და უმეცარი, მაგაში მეც გეთახმებით; მაგრამ ამ ნაკლულოვანებათა გამო აიხსნება ისიც მხოლოდ ოდნავ, მოვლენა, რომ საერთაშორისო ბაზრის მოპოებისათვის ბრძოლაში დამარცხებულია განსაზღვული ერის ბურჟუაზია, ხალხის სიღატაკის მიზეზები სხვაგან უნდა ვეძიოთ. ამას ნათლად გვიმტკიცებს ის გარემოება, რომ სიღარიბე უმუშავრობა და ბევრი სხვა სოციალური უბედურებანი იმ ქვეყნებშიაც ხშირი მოვლენაა, სადაც ბურჟუაზია განვითარებული და ძლიერია; შემიძლია კიდევ ვსთქვა, რომ წარმოება რაც უფრო ვითარდება ეს უბედურებანი უფრო და უფრო ძლიერდებიან, და თუ მოწინავე ქვეყნებში მუშები არ არიან უკიდურეს წერტილამდი გაღატაკებულნი და დამონებულნი, ეს აიხსნება იმ წინააღმდეგობით რომელსაც ისინი უწევენ სხვა და სხვა კავშირებით, გაფიცვებით, აჯანყებით და რევოლიუციით. კაპიტალიზმი თავისი შინაარსით ყოველგან ერთი და იგივეა. მის ასაღორძინებლად საჭიროა ნახევრათ დამშეული მუშები. ერთის მხრით აუცილებელია, იმიტომ რომ საქონელი მეტ ფასში გადიოდეს; მეორეს მხრით კი შეძლება ჰქონდეთ კაპიტალისტებს დაიქირაონ დამშეული მუშები რა პირობებშიაც მათ სურს. ამ ნაირად ცხადია, რომ როდესაც რომელიმე მხარეში რაიმე წარმოების დარგის განვითარება, არ მოასწავებს მუშების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამის მიზეზია ის რომ საქონლის მოთხოვნილება ბაზარზე მატულობს; ადგილობრივი ხარჯი მატულობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშებს ბედმა გაუღიმა და აიძულეს „ხაზეინები“ მოამატებინონ სამუშაო ქირა და ამნაირათ მიიღონ შეძლება მეტი ხარჯვისა. მაგრამ თუ შემდეგ სხვა და სხვა მიზეზებისა გარეშე ბაზარი იხურება, იწყება კრიზისი, სწყდება მუშაობა, ეცემა სამუშაო ქირა და ამ ნაირათ ისევ აუტანელი სიღატაკე მეფდება. თვით მხარეში კი უმრავლესობისთვის მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს, საქონელი, რომლის წარმოება შეჩებრებულია და იძულებული ხდებიან თვითეულმა მათგანმა თავისი არსებითი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს. ამით რა სარგებლობა აქვნ კაპიტალისტებს?

აბრუას. მაშ თქვენის აზრით ყოველივე ბოროტების დასაბამი კაპიტალიზმია?

გეორგ. ექვი არ არის. მთელი უბედურების მიზეზი ის გარამოებაა რომ რაოდენიმე პირებმა ჩაიგდეს ხელში მიწები და სხვა საწარმოო იარაღები. თავის პირად ინტერესებისათვის, გამოიყენეს, და არავითარ ყურადღებას არ აქცევენ სხვის გაჭირვებულ მდგომარეობას. სულ ყველა არგუმენტები, რომლითაც შეგიძლიათ თქვენ მოიყვანოთ ბურჟუაზიის უფლების დასაცავად სიყალბეზე და შეცდომებზეა დამყარებული. ერთი წამის წინ თქვენ ლაპარაკობდით, რომ—სიღარიბის მიზეზი ნაყოფების ნაკლებობაა. ეხლა გსურთ გადასწყვიტოთ ცუდათ მყოფ მუშათა საკითხები. თქვენ ლაპარაკობთ რომ მაღაზიები გავსებულია საქონლებით და დამზადებულ ნივთებს გასავალი არ აქვს ფაბრიკანტებს არ შეუძლია მისცენ სამუშაო მუშებს, რომ მერმეთ ვინ იცის საქონელი გაუყიდავი დარჩეთ აი რაშია სისტემის უაზრობა: მიწის მუშები კვდებიან სიმშილით იმ დროს, როდესაც რამოდენიმე მილიონობით დესეტინა მიწები დაუმუშავებელია, რახან მფლობელები ვერ ხედავენ სარგებლობას დაამუშავონ. მეწაღეები უმუშავრათ არიან და უწაღოთაც დადიან მაშინ, როდესაც აუარებელი წაღებია დამზადებული და სხვ...

ამბრუას. მაშ კაპიტალისტები სიმშილით უნდა დაიხოცნონ?

გეორგ. რასაკვირველია თუ არ იმუშავებენ. უნდა თანასწორათ იმუშაონ. თქვენ თითქმის ძნელათ გეჩვენებათ, მაგრამ, როდესაც ადამიანი მაძღარია ისე ძნელი არ არის მუშაობა, რომელიც გაცვლა-გამოცვლაში უწყობს ხელს. ეხლა თითქმის გვიანიც არის. შემდეგისთვინ.

კოწია ჭუბაბრია.

(შემდეგი იქნება).

— როგორც ხმა გავრცელდა 22 ივნისს საერთო გაფიცვა მოხდება ქალაქში.

## რუსეთის ქრონიკა

სამხედრო მინისტრის რედიგერის ინიციატივით, ამ დღეებში შესდგება კრება მაღალ ჩინოსან მინისტრების სამხედრო და მეზღვაურთა, რომ გაარკვიონ ის საკითხი თუ რამ გმოიწვია რევოლციუციონური მოძრაობა ჯარში. სანტერესოა, რა მიზეზმა გამოიწვია ეს კრება. სევასტოპოლში პოლკის უფროსებმა მიუთითეს მეზღვაურებზედ, რომ იმათ პოლიტიკურ ნიადაგზე დაასკვნეს მღელვარება ჯარის კაცებში.

არმიელები კი ამბობენ, რომ რევოლიუციონური მოძრაობა დაიწყო მეზღვაურებში. რუსეთ-იაპონიის ომის დროს და მერე გადმოვიდო ჯარსაც.

საზღვაო უწყება უარს არ ჰყოფს გაძლიერებულ მოძრაობას მეზღვაურთა შორის, მაგრამ აცხადებს კი რომ ამ მოკლე ხანში მეზღვაურები მიისწრაფვიან სამხედრო დისციპლინის დარღვევას. კრების დასაწყებათ მოვლენ მინისტრებისაგან მოწვეულნი ოფიცრები კურსკში, რიაზანში და სევასტოპოლში „უწესოების“ გამოსარკვევად.

—

„Русскій Инвалидъ“-ში დაბეჭდილია: ხელმწიფე იმპერატორმა მიუსაჯა სასტიკი სასჯელი ლეიბგვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკის კამანდირს მის უდიდებულესობის ახალის გენერალ-მაიორს გადონს, რადგანაც კარგა ვერ ჰქონდა შენახული დისციპლინა 1 ბატალიონში.

—

„XX ვეკი“ უტყუარი წყაროებიდგან იტყობინება შემდეგს: 6—7 ივნისს პრეობრაჟენსკის პოლკის ლეიბ გვარდიამ თავის ლაგერში აშკარათ გამართეს მიტინგი, სემიონოვსკი პოლკის თანდასწრებით, მაგრამ ვერ დაასრულეს, რადგანაც ოფიცრებმა შეუშალეს ხელი.

8 ივნისს პოლკი გაგზავნეს ახალ პეტერგოფში და დააბინავეს ორ ყაზარმაში: 1 და 2 ბატალიონი ულანსკის პოლკის ყაზარმაში დააბინავეს, 2 და 4 ბატალიონი ცხენოსან გრენადერების ყაზარმაში.

9 ივნისს 10 საათზე საღამოს როდესაც შეამოწმეს ჯარის კაცთა რაოდენობა, 1 ბატალიონის სალდათებმა გამართეს მიტინგი; დაესწრენ ნაწილი მე-3 ბატალიონისა, მემუსიკეები და მგალობლები სულ 400 კაცი იყო. მიტინგმა ერთ ხმად მიიღო რეზოლიუცია ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათისა.

მიტინგის ბოლოს 11 საათზე მოვიდა მორიგე ოფიცერი და უბრძანა სალდათებს დაშლილიყვნენ, მაგრამ სალდათებმა ყურიც არ ათხოვეს. შემდეგ მოვიდნენ სხვა ჯარის უფროსებიც და მოინდომეს სალდათების დამშვიდება. ჯარის კაცებმა სამარისებური სიჩუმით უპასუხეს. დიდი ალიაქოთი ატყდა. 12 საათზე, დღით 10 ივნისს, ყაზარმაში გამოცხადდა დივიზიის უფროსი, გენერალ-მაიორი ოზეროვი, ის დაეკითხა ჯარის კაცებს რაში მდგომარეობდა იმათი მოთხოვნილება. ჯარის კაცებმა უპასუხეს „თუ შეიძლება მოგვშორდითო და ცოტა გვაცალე, რომ მოთხოვნილება ჩამოვსწეროთო. გენერალ ოზეროვი იმავე წამს მოშორდა და თან აფიცრებიც წაიყვანა. მთელი ერთი საათი ელოდებოდნენ ჯარის უფროსნი პასუხს. ამ დროს განმავლობაში ჯარის კაცებმა შაადგინეს მოთხოვნილებანი შემდგარი 19 პუნქტისაგან დ წარუდგინეს მთავრობას.

## უცხოეთი.

—

გერმანელ გაზეთების რედაქტორების გამგზავრება ინგლისში

ინგლის გერმანიის საურთიერთო განწყობილების კომიტეტმა, რომლის თავმჯდომარე არის ლორდი ევბიური (ცნობილი ჯონ ლებბოკი). საპატიო თავჯდომარე კი—არგაილის გერცოგი, სიძე ედუარდი VII, მაისში მოიწვია ინგლისში ყველა გავლენიანი რედაქტორები გერმანიულ გაზეთების, რათა პირადად გაიცნონ ერთმანეთი და უფრო მჭიდროდ შეჰკრან კავშირი. მეორე დღეს ლონდონში მისვლის თანავე გაუმართეს საუზმე საზოგადოებათა პალატაში. იმავე საღამოს ლორდ ევბიურის თავმჯდომარეობით ლორდ-კანცლერის თანადასწრებით გაიმართა ბანკეტი. ერთ დღეს შექსპირის სახსოვრადაც იდღესასწაულებენ სტრატფორდში, და სხვ.

ამ ცდამ გამოიწვია კამათი გერმანიის ს.-დ. გაზეთებში გერმანიის ჟურნალისტებს შორის, რომელთაც მიიღეს მიპატიჟება. აღმოჩნდა აგრეთვე ცნობილი ს.-დ. მწერალი ქალი ლილი ბრაუნი, რომელიც წავიდა როგორც წარმომადგენელ ჟურნალ „Die Gegenvart“-სა Vorvarts-ის რედაქციამ სასტიკად გაჰკიცხა ქ-ნი ბრაუნი, რომ ს. დ. მიმართულება. წარმომადგენელნს არ უნდა მიეღოთ მონაწილეობა ბურჟუა ინგლისელების მოგონილ საქმეში, დ გვერდს ესხნენ როგორც ამხანაგები რეაქციონურ გაზეთებს რედაქტორებსაო ქ-ი ბრაუნის მეუღლემ, დოქტ. ბრაუნმა, ამის გამო წერილით მიჰმართა Vorvarts-ს და ამტკიცებდა. რომ ინგლის გერმანიის კომიტეტი არ შეიძლება ჩაითვალოს ბურჟუაზიულ კომიტეტათ, იმის გამო მაინც, რომ ამ კომიტეტში იმყოფება ვეის-გარდი, და რომ მიპატიჟებულ იყვნენ ყველა პოლიტიკურ მიმართულების გაზეთების რედაქციები, ასე როგორც უარი არა სთქვეს თვით ს. დ. დეპუტატებმა, როდესაც იგინი მოპატიჟებულ იყვნენ სადილად რეიხსტაგში რეინის მიდამოების მევენახეთაგან.

—

**გერმანია.** პროფესსიონალურ ორგანიზაციების ჟურნალი Eingkeit იუწყება ზოგიერთ საინტერესო ცნობებს იმ სხდომის შესახებ, რომელიც შედგა ბერლინში წარმომადგენილებიდგან სხვადასხვა მუშათა კავშირებისა. ამ სხდომაზე არჩევდენ კითხვას საყოველთაო გაფიცვისა გერმანიაში.

წარმომადგენელმა კალატოზთა კავშირისა მოკლედ გამოსთქვა ბებელის და ცენტრალურ კომიტეტისა სოც.-დემოკრატიულ პარტიის აზრი ამ კითხვის შესახებ. ბებელი ამბობს, რომ საყოველთაო გაფიცვის გამარჯვების გატანისა გერმანიაში და მით უფრო პრუსსიაში თითქმის შეუძლებელია, ამიტომ ცენტრალური კომიტეტი ყოველთვის ერიდებოდა ყოველ წინადადებას საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებისა, რომელიც გამოდიოდა საკსონიიდან, გამბურგიდან, ბერლინიდან და სხვ. იმ მოსაზრებით, რომ ამნაირ ცდას საჭიროა წინააღმდეგობა გაუწიონ ხოლმე. მაგრამ თუ მაინც საყოველთაო გაფიცვა, რომელიმე მიზეზის გამო უცბად იფეთქავდა მიუხედავად ყოველი ღონისძიებისა რათა შეაჩერებიათ იგი, მაშინ ცენტრალური კომიტეტი პარტიისა იმ აზრისა არის, რომ პროფესსიონალურ ორგანიზაციებმა ოფიციალურათ არ მიიღონ მონაწილეობა, გაფიცვის წინამძღოლობა კი გადაეცეთ მხოლოდ სოც.-დემ. პარტიის ორგანოებს. თუ ვინიცობაა საყოველთაო გაფიცვამ იჩინა თავი, მაშინ პარტია ავალებს მუშათა ორგანიზაციებს რომ მათ არას გზით არ შეუშალონ ხელი, გაიყვანონ იგი ცხოვრებაში. რათა სასურველ გამარჯვებითი გამოვიდეს ბრძოლის ველიდან. არ შეიძლება ცენტრალურმა კომიტეტმა არ გამოსთქვას თავისი აზრი ამ ცნობების შესახებ, რომელიც ეწინააღმდეგებიან იმ რეზოლიუციებს საყოველთაო გაფი[ცვის] შესახებ, რომელიც მიღებული [...] იენის პართიიტაქზე.

## დეპეშები

(პეტერბურგის სააგენტო დეპეშ[ები])

—

**ვლადიკავკავი.** დაბა ნაზრ[ანში] დაუშინეს ტყვია კონვოის, [რომე]ლიც აცილებდა არესტანტ[ებს] ... შებს. არესტანტებმა მოკლეს [...] ჯარის კაცი, დასჭრეს სხვები მიიმალნენ.

**გრემენჩუგი.** გავრილენკოს [მ]კვლელის დასჯა შეუცვალეს [...] წლის კატორგაზე.

**მოსკოვი.** გაფიცვა 2000 [...] შების შენობათა.

**პეტერბურგი.** „ნოვ. ვრ.“ [იუწ]ყება, რომ ჯარის კაცების კავში[რის] არსებობა, როქელსაც უარყო[ფს] სამხედრო სამინისტრო, მტკიც[დება] იმით, რომ აღმოაჩინეს გაჩხრ[ეკის] დროს შტაბის ჯარის კაცებს [...] ნაში კავშირის ბეჭედი ჰქონ[დათ] ბეჭდვის ნახვამ გამოიწვია სამინ[ის]როსი ბრძანებამ საქმის მკაცრ[ი] მორკვევისა.

**ბაქო.** ბაილოვის საპყრობი[ლე]სეირნობის დროს არესტანტ[ებს] შორის მოხდა ყლეტვა დაჭრ[ეს] 25 მაჰმადიანი და ერთი [...] მიღებულია ზომები ქალაქში [...] ვარების ასაცდენათ.

**ვარშავა.** სამხედრო რევოლ[უ]ციონური ორგანიზაციის კომი[ტე]ტის საქმის გამო გადაუწყვიტ[ეს] ბაცკის და პეტრენკოს 4 წლი[ს კა]ტორგა, პისარევსკის და მის[...] ოფიცერ ფრიავს სალდათ ზოლო[...] ხინს, პერიოზევს, კნიაჟესკის, [...] ლოვს, ყოველი ღირსებათა ახდა [...] მუდამო გადასახლება, ავეტიან[...] ვალამეის 3 წლით, მუშა ჩეპკ[...] და რჩონზეს წელიწად ნახ[...] როტნერს წელიწადი და ოთხ[...] დატუსაღება ციხეში გატარ[...] დროის ჩათვლით. გაანთავისუფ[ლეს] დლუგოლენსკაი, არონკოვა [...] ვა, ოფიცერი ორიაფი და [...] არნი კრახმალნი ქუჩაზე [...] ლოთ დასჭრეს კრილოვი.

**პეტერბურგი.** დაიწყო მუშ[ათა] დეპუტატების საბჭოს საქმე, სო[...] ქო სასამართლო გარშემორტყ[მუ]ლია პოლიციის მძლავრი რაზმი[თ].

—

რედაქტორ-გამომცემელი

**მიხეილ დიასამი[ძე]**

ელექტრონის სტამბა მიხეილ ექვთიმეს-ძე ხელაძისა, სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა სახ. № 3.